

## ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების

### 2020 წლის ანგარიში

საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიაში საქმისწარმოების ელექტრონული ფორმით მიმდინარეობას. 2020 წლის 12 ოქტომბრამდე ელექტრონული საქმისწარმოება ხორციელდებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით.

2020 წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით, ხსენებული სისტემის საშუალებით, საქმისწარმოებაში გაშვებულ იქნა სხვადასხვა უწყებიდან შემოსული და ფიზიკური პირის 19537 წერილი და განცხადება, მათ შორის: საქართველოს პარლამენტიდან - 12, საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან - 18, სხვადასხვა სამინისტროდან - 226, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან - 439, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან - 7701, სასამართლო ხელისუფლების ორგანოდან - 175, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან - 325, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულებიდან - 530, სხვადასხვა იურიდიული პირებიდან (შპს, სს, სსიპ) – 2344, მოქალაქის 6345 განცხადება, მოქალაქის ადმინისტრაციული საჩივარი - 25 და სხვადასხვა სახის 1397 წერილი და განცხადება. ხოლო გასული წერილების რაოდენობამ შეადგინა 13853 ერთეული. 2020 წლის 12 ოქტომბრიდან, მუნიციპალიტეტის მერია საქმისწარმოებას ახორციელებს ახალი სისტემის საშუალებით, ეს არის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული სისტემა.

ახალი სისტემა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოქალაქეთა მომსახურების ხარისხს, რადგან გააჩნია მეტი ფუნქციური დატვირთვა. 2020 წლის 12 ოქტომბრიდან 25 დეკემბრამდე, აღნიშნული სისტემით საქმისწარმოებაში გაშვებულ იქნა მატერიალური სახით შემოსული 3681 ერთეული წერილი და განცხადება და ელექტრონული სახით შემოსული 4873 წერილი, ხოლო გასული წერილების რაოდენობამ შეადგინა - 5298 . გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში მომზადებულ იქნა 1067 ბრძანება და 2552 შიდა წერილი (მოხსენებითი ბარათი, სამსახურებრივი ბარათი და სხვა).

რაც შეეხება მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს, იგი უზრუნველყოფს მოქალაქეთა განცხადებების მიღებას და რიგ შემთხვევებში, საშვების გაცემას მუნიციპალიტეტის მერთან, მერის მოადგილეებთან და მერიის საჯარო მოხელეებთან შესახვედრად. ყოველდღიურად, ბიურო მომსახურებას უწევს დაახლოებით 20-30 ფიზიკურ და იურიდიულ პირს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეებს მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღება შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნილი განცხადებების საშუალებითაც.

## ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების 2020 წლის ანგარიში

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N5 დადგენილებაში ცვლილებები: (6 ცვლილება განხორციელდა)

1. 2020 წლის 18 თებერვლის N5717-II ს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი, ჩაითვალოს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად. კერძოდ, 2020 წლის 24 თებერვლიდან, მცხეთის მუნიციპალიტეტის 22 ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლების და იქ დასაქმებული სხვა საჯარო მოხელეთა შტატით გათვალისწინებული 48 პოზიცია გარდაიქმნა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პოზიციებად.
2. საქართველოს კანონის – „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ აღნიშნული საკანონმდებლო აქტის 96-ე მუხლის საფუძველზე მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დონორებთან ურთიერთობის განყოფილებას შეეცვალა დასახელება და სახელწოდებად განესაზღვრა ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.
3. აგრეთვე, მუშაობის პროცესში, სამუშაო მოცულობიდან გამომდინარე, სამსახურების გაძლიერების კუთხით, მოხდა აღნიშნულ დადგენილებაში 4 ცვლილება – საშტატო ერთეულის გადატანა ერთი სამსახურიდან მეორე სამსახურში.

**პროფესიული განვითარების გეგმა** – საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ ავალდებულებს საჯარო დაწესებულებებს, საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებებზე დაყრდნობით, შეადგინონ (დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულმა) საკუთარი ორგანიზაციის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმა და გააგზავნონ საჯარო სამსახურის ბიუროში არაუგვიანეს ყოველი წლის პირველი მარტისა. პროფესიული განვითარების სისტემის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის 14 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა საჯარო დაწესებულების მოხელეთა პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმისა და ანგარიშის ფორმა, რომლის შესაბამისადაც, ყოველი წლის 1 მარტამდე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის

განყოფილების ორგანიზებით, ხდება ამ გეგმის შედგენა. 2020 წლის პროფესიული განვითარების გეგმის საფუძველზე დაიგეგმა 62 დამატებითი ტრენინგ პროგრამა.

ყველაზე ხშირად განხორციელებული პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამა ეხება შემდეგ საკითხებს:

- ადმინისტრაციული წარმოება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვა;
- შიდა აუდიტი;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- პროექტების მართვა;
- გენდერი და მართვა;
- პროგრამული ბიუჯეტი და ქონების მართვის ელექტრონული პროგრამა;
- სივრცითი დაგეგმვისა და განაშენიანების მართვის საკითხებზე.

ასევე, ჩატარდა:

**საჯარო მოხელეთა ფორუმი** – საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, ZOOM-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, დეკემბრის თვეში, ჩატარდა HR ფორუმი, რომელიც მიმდინარე წლის განმავლობაში ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შეჯამებას, მოხელეთა შეფასების საკითხების განხილვას და სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვას დაეთმო.

**საჯარო მოხელის დღე** – 2020 წლის 19 დეკემბერს, ჩატარდა საჯარო მოხელის დღისადმი მიძღვნილი ყოველწლიური ღონისძიება, სადაც მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების განყოფილება აქტიურად ჩაერთო ZOOM-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.

**მიღება საჯარო სამსახურში:** საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 34-ე მუხლის თანახმად, პირი მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე ინიშნება კონკურსის საფუძველზე. შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანსიების თაობაზე, ინფორმაციის განთავსება ხდება სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე: [www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge). ამდენად, არსებული ვაკანსიების შესავსებად, 2020 წლის იანვრიდან დღემდე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანურ რესურსების მართვის განყოფილების ორგანიზებით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) გამოცხადდა 6 ვაკანსია, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 34-ე მუხლის საფუძველზე, ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა 3 ღია კონკურსი და ამავე კანონის 49-ე მუხლის საფუძველზე, მოხელის კარიერული განვითარების მიზნით – 3 შიდა კონკურსი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ იქნა საუკეთესო კანდიდატები.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილების „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე ([www.stajireba.gov.ge](http://www.stajireba.gov.ge)) გამოცხადდა კონკურსი, ამის შედეგად მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში მიღებულ იქნა ერთი სტაჟიორი.

**შრომითი ხელშეკრულება** – მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N481 განკარგულებით, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა შეადგენს 18 ერთეულს.

საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, 84-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-6 მუხლის 1 და 1<sup>3</sup> პუნქტების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 13 საჯარო მოსამსახურე, დაინიშნა უვადოდ.

**პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასება** – საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილების „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში ყოველი წლის ბოლოს, დეკემბრის თვეში, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ორგანიზებით, ხდება პროფესიული საჯარო მოხელეთა შეფასება, რომლის ერთ-ერთ სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს მოხელის კლასის მინიჭება, ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N219 დადგენილების „პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის იანვარში, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში I კლასი მიენიჭა 43 პროფესიულ საჯარო მოხელეს, ამ ეტაპზე, 2020 წლის შეფასება უკვე დასრულებულია, გრძელდება I კლასის მინიჭების პროცესი.

### **eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზირებული სისტემა**

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2017 წლის 31 აგვისტოს №474/სა ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ ორგანიზაციაზე, რომელში მუშაობაც "საჯარო სამსახურის შესახებ" 2015 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება საჯარო სამსახურად.

ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მიზანია გაზარდოს საჯარო დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობა მართვის თანამედროვე ავტომატიზირებული გადაწყვეტილებების დანერგვის გზით. პროგრამა უზრუნველყოფს უწყების ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებასა და მუდმივ

მონიტორინგს. ამგვარი სისტემების გამოყენება თითოეულ საჯარო დაწესებულებას და შესაბამისად მთელ საჯარო სექტორს, შესაძლებლობას მისცემს დახვეწოს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა და სტრატეგია. ზემო აღნიშნულ პროგრამას, აქტიურად იყენებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, რომელსაც ორგანიზებას უწევს ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

**სს „სილქნეტი“ - ს კორპორაციულ და საბითუმო გაყიდვების განყოფილებასთან ურთიერთობა - 2019 წლის 1 მარტის N 6/კონ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სს „სილქნეტი“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები სარგებლობენ სილქნეტის კორპორაციული მომსახურებით, რომლის მომსახურებაც უზრუნველყოფს, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების 2020 წლის ანგარიში:**

1.სასამართლო საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, განყოფილების მიერ მომზადდა:

2 სარჩელი

41 შესაგებელი

1 საკასაციო საჩივარი

1 საკასაციო შესაგებელი

1 შუამდგომლობა

სასამართლოში წარმომადგენლობა 5 საქმეზე, საიდანაც 4 საქმე დასრულდა მერიის ინტერესების სასარგებლოდ; მიმდინარეა - 49 საქმე;

2. წესი/პროექტები

განყოფილების მიერ მომზადდა :

1.მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესი.

2. მერის სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების უფლება-მოვალეობები.

3. სამართლებრივი დოკუმენტაცია ლიკვიდირებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუნდებული სამეწარმეო იურიდიული პირების ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთვის.

4. მომზადდა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენის სხდომის 3 ოქმი და ზეპირი მოსმენის სხდომები ჩატარდა განყოფილების თანამშრომლების მონაწილეობით.

5.49 წერილი (როგორც მოქალაქეთა, ისე სხვადასხვა დაწესებულებების სახელზე).

6.129 მერის ბრძანების პროექტი (მათ შორის სამშენებლო სამართალდარღვევისა და საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემის შესახებ);

7. საკრებულოს განკარგულების 2 პროექტი;

8. მთავრობის განკარგულების 1 პროექტი;

9. საკრებულოს დადგენილების 2 პროექტი;

3. კომისიური საქმიანობა:

განყოფილების თანამშრომლების მიერ მომზადდა:

მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2 ოქმი;

ჯანდაცვის და სოციალური საკითხთა კომისიის 48 ოქმი;

საკონკურსო კომისიის სხდომის 21 ოქმი;

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის სხდომის 15 ოქმი;

პირის მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის სხდომის - 9 ოქმი, 9 განკარგულება და 9 ცნობა.

მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის კომისიის - 10 ოქმი. 8 საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა;

მცხეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული (კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული) ქონების გამოვლენის, აღრიცხვის და შეფასების კომისიის- 1 ოქმი.

განყოფილების მატერიალურ და ელექტრონულ ვიზირებას გადის მერიაში მომზადებული ყველა სამართლებრივი აქტის პროექტი.

განყოფილება სამართლებრივ კონსულტაციას უწევს მოქალაქეებს, მერიის თანამდებობის პირებსა და თანამშრომლებს.